საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 17 სექტემბერი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხი:

- საინიციატივო ჯგუფის მიერ, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო ჩხობაძემ.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილული იყო საინიციატივო ჯგუფის მიერ, რომლის ერთ-ერთი წევრიც პირველი სამუშო ჯგუფის კოორდინატორია, მომზადებული საკანონმდებლო წინადადება, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით იქნა შემუშავებული ვენეციის კომისიისა და ევროკომისიის რეკომენდაციების კონტექსტის გათვალისწინებით.

საკანონმდებლო ინიციატივა დეტალურად და შინაარსობრივად მიმოიხილა ერთ-ერთმა ავტორმა, ლაშა ტუღუშმა. მსჯელობა გაიმართა ცვლილებების პაკეტში გაწერილ ინიციატივებზე, მათ მიზნობრიობასა და შედეგებზე. ავტორის განცხადებით, საკანონმდებლო წინადადება ეხმიანება ვენეციის კოისიისა და ევროკომისიის მიერ გამოგზავნილ რეკომენდაციებს. საკანონმებლო წინადადებაში ასახული ცვლილებები არ იქნება სასამართლო სისტემის ძირეული რეფორის სრულად განმახორციელებილი, თუმცა ეს იქნება ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯი იმ დიდი რეფორმისკენ, რომელიც აუცილებლად უნდა გატარდეს სასამართლო სისტემაში. ასევე ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი რეკომენდაციების შესრულების კონტექსტში, რადგან პირდაპირ ასახავს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

საკოორდიანციო საბჭოს წევრებმა, დისკუსიის ფორმატით განიხილეს ინიციატივა. პირველი სამუსო ჯგუფის მეორე კოორდინატორი მიიჩნევს, რომ ეს წინადადება ვერ ასახავს სასამართლო სისტემაში განსახორციელებელ რეფორმებს სრულად, შესაბამისად ის მხარს არ უჭერს წინადადების ინიცირებას.

საკანონმდებლო წინადადება გაიგზავნება პირველი სამუშაო ჯგუფის წევრებთან და მასზე მსჯელობისა და განხილვის მიზნით გაიმართება პირველი ჯგუფის სამუშაო შეხვედრაც.

საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში დარეგისრტირება საინიციატივო ჯგუფის მიერ. მასთან ერთად დარეგისტრირდება 2 წერილიც, ერთი რომლითაც ინიციატორები მოითხოვენ მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელმაც უნდა შეისწავლოს ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების იმპლემენტაციის მდგომარეობა და შეაფასოს სასამართლო სისტემაში არსებული ვითარება. ამ შეფასების საფუძველზე კი უნდა მომზადდეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. და ასევე დარეგისტრირდება მეორე წერილი, რომელშიც მოთხოვნილი იქნება სამუშაო ჯგუფის შექმნა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე